გავრცელებული თემები ეპიკური ფანტასტიკის მხატვრულ ლიტერატურაში

ვლადიმერ ჯიქია

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კალატოზიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვლადიმერ ჯიქია 15.06.2023

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი შეისწავლის და განიხილავს ეპიკური ფანტასტიკის მხატვრულ ლიტერატურაში არსებულ თემებსა და გზავნილებს. კვლევის ფარგლებში დასმულია ორი ძირითადი კვლევის საკითხი. პირველი იკვლევს, რომელი თემები არის ყველაზე გაყიდვადი და გავრცელებული ეპიკური ფანტასტიკის ლიტერატურაში. მეორე კითხვა მიზნად ისახავს შეისწავლოს, დღესდღეობით რომელი თემებისა და გზავნილების წაკითხვა სურს მკითხველს და დაადგინოს კავშირი მიღებულ შედეგებსა და ფანტასტიკის ლიტერატურაში გავრცელებულ თემებს შორის.

დასახული მიზნის მისაღწევად, აუცილებელი გახდა თემების ერთიანი სიის ჩამოყალიბება. ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში აღწერილია ოცი ძირითადი თემა, რომელზე დაყრდნობითაც, იქნება განხილული მხატვრული ლიტერატურა კვლევის ძირითად ნაწილში.

საკვლევ კითხვებზე პასუხის მისაღებად, გამოყენებულია კვლევის შერეული მეთოდოლოგია. სამაგისტრო ნაშრომის თვისებრივი კვლევის ნაწილში განხილული და გარჩეულია ეპიკური ფანტასტიკის ჟანრის ათი ყველაზე პოპულარული წიგნების სერია: “ჰარი პოტერი”, “ბეჭდების მბრძანებელი”, “ჰობიტი”, “მხედვარი”, “ნარნიის ქრონიკები”, “ყინულისა და ცეცხლის სიმღერა”, “ნისლქმნილი”, “ქარიშხლების არქივი”, “მეფის მკვლელის ქრონიკა” და “დროის ბორბალი”. რაოდენობრივი კლევა კი მიზნად ისახავდა ფანტასტიკის ჟანრის მკითხველის გამოკითხვას ეპიკური ფანტასტიკის ლიტერატურის თემების საკითზე.

თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებულია პასუხი პირველ საკვლევ კითხვაზე. ხუთ ყველაზე გავრცელებულ თემას შორის არის: “პიროვნული ზრდა და თვით-შემეცნება”, “სიკეთე ბოროტების წინააღმდეგ”, “მაგია და ზებუნებრივი”, “ბედისწერა და რჩეული”, “მეგობრობა და ერთგულება”.

რაოდენობრივი კვლევის გამოკითხვაში მონაწილეობა 1083-მა ფანტასტიკის ჟანრის მოყვარულმა მიიღო. ორივე კვლევის შედეგების ანალიზმა მოგვცა საშუალება,

გავცეთ პასუხი მეორე საკვლევ კითხვას. მიღებულია შემდეგი ხუთი თემა, რომლის წაკითხვა ყველაზე მეტად სურს მკითხველს: “მაგია და ზებუნებრივი”, “მონანიება და იმედი”, “ქვესტი და თავგადასავალი”, “მეგობრობა და ერთგულება” და “ძალაუფლება და პასუხისმგებლობა. გადაკვეთას რაც შეეხება, აღნიშნული ხუთი თემიდან, მხოლოდ ორი თემა ემთხვევა თვისებრივ კვლევაში გამოკვეთილ ხუთ ყველაზე გავრცელებულ გზავნილს: “მაგია და ზებუნებრივი” და “მეგობრობა და ერთგულება”.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლიტერატურა, ეპიკური, ფანტასტიკა, თემა, გზავნილი.

Abstract

The research studies themes and messages in epic and high fantasy literature. There are two major questions asked throughout the master paper. First one aims to determine the most explored themes in high fantasy literature. The second question's purpose is to research what are the themes that readers would love to explore more and how are the results intersected with already explored themes in modern fantasy literature.

To achieve the purpose of the research, it was necessary to create the united list of themes in fantasy literature. Throughout the literature review, twenty themes were formed and explained for the reader. Those themes form the major criteria for researching the topic.

In order to receive the answers on the posed questions, the research uses mixed methodology. The qualitative research explores and discovers major themes in ten of the most wide-spread high fantasy literature book series: "Harry Potter", "The Lord of the Rings", "The Hobbit", "The Witcher", "The Chronicles of Narnia", "The Song of Ice and Fire", "Mistborn", "The Stormlight Archive", "The Kingkiller Chronicle" and "The Wheel of Time" book series. The quantitative research aims to survey fantasy literature lovers regarding the themes in above-mentioned literature.

The qualitative research results gave the answer to the first posed research question, regarding the most explored themes in high fantasy literature. The five most spread themes are the following: "coming-of-age and self-discovery", "Good vs. Evil", "magic and supernatural", "fate and the Chosen-one", "friendship and loyalty".

The qualitative research survey gathered answers from 1083 fantasy literature enthusiasts from around the world. Through combining both conducted researches, we were able to receive a complete answer to our second research question, regarding the themes that readers would love to enjoy and the connection between those answers and already explored themes in high fantasy literature. As a result, five major themes are the following: "magic and supernatural", "redemption and hope", "quest and adventure", "friendship and loyalty", "power and responsibility". Regarding

the connection between already explored and reader's perspectives' most desired themes, out of five, only two have been intersected: "magic and supernatural" and "friendship and loyalty".

Key words: fantasy, literature, high, epic, fantasy, theme, message.

მადლობა

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი კალატოზიშვილს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის წერისას გვერდში დამიგდა და მაქსიმალური დახმარება გამიწია. ასევე დიდი მადლობა მსურს გადავუხადო ყველა იმ "ფეისბუქ" ჯგუფისა და "საბრედიტის" მოდერატორს, ვინც დაუშვა ჩემ მიერ წარდგენილი გამოკითხვა ჯგუფებში. და ბოლოს, მადლობას ვუხდი ჩატარებული გამოკითხვის 1083 მონაწილეს მათი დახმარებისთვის.